დადგენილება:**დ-37. 37223602**
თარიღი:**26/12/2022**

დადგენილება N34

2022 წლის 23 დეკემბერი

ქ. ოზურგეთი

„ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 28 დეკემბრის №17 დადგენილებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 24-ე მუხლის პირველი ნაწილის „დ.ა“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის 1-ლი და მე-2 ნაწილის და ,,ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო

ა დ გ ე ნ ს :

მუხლი 1. შეტანილი იქნას ცვლილებები და დამატებები ,,ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 28 დეკემბრის N17 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 30/12/2021, სახელმწიფო სარეგისტრაციო კოდი 190020020.35.113.016449), კერძოდ:

- გაიზარდოს სულ შემოსავლების და გადასახდელების ნაწილში **5 335 223 ლარით:**

1. გაიზარდოს შემოსავლების ნაწილში საგადასახადო შემოსავლები **490 000** ლარით.

ა) დამატებული ღირებულების გადასახადი **(ორგანიზაციული კოდი 114) – 490 000 ლარით.**

2. გაიზარდოს შემოსავლების ნაწილში სხვა შემოსავლები **577 000** ლარით.

ა) ჯარიმები, სანქციები, საურავები (ორგანიზაციული კოდი 143) – 577 000 ლარით;

3. ა/წლის 11 ნოემბერს საქართველოს მთავრობის #2055 განკარგულებით შევიდა ცვლილება 2022 წლის 26 იანვრის #131 განკარგულებაში ,,სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებების განხორციელების თაობაზე“, რომლის თანახმად ოზურგეთის მუნიციპალიტეტს დამატებით გამოეყო **2 665 000** (ორიმილიონ ექვსას სამოცდახუთი ათასი) ლარი.

4 შევიდა ცვლილება საქართველოს მთავრობის 2022 წლის 17 იანვრის #75 განკარგულებაში ,,საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან მუნიციპალიტეტებისათვის თანხის გამოყოფის შესახებ“, რომლის თანახმად ოზურგეთის მუნიციპალიტეტის დაფინანსება გაიზარდა **1 603 223** (ორმოცდაჩვიდმეტიათას ას ცამეტი) ლარით.

- **შესაბამისად გაიზარდოს:**

5. საქართველოს მთავრობის #2055 განკარგულებით გამოყოფილი თანხის სტიქიის პრევენცია და შედეგების ლიკვიდაცია, არაფინანსური აქტივების ზრდა, სხვა შენობა-ნაგებობები (ორგანიზაციული კოდი - 02 10 – 61.1.1.11) – **2 665 000** ლარით.

6. საქართველოს მთავრობის 2022 წლის 17 იანვრის #75 განკარგულებაში ,,საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან მუნიციპალიტეტებისათვის თანხის გამოყოფის შესახებ“ ცვლილების შესაბამისად გზების მშენებლობა და რეაბილიტაცია, არაფინანსური აქტივების ზრდა, გზები (ორგანიზაციული კოდი - 02 01 02– 61.1.1.5.) – **1 603 223** ლარით.

7. საკუთარი შემოსავლებიდან გზების მშენებლობა და რეაბილიტაცია, არაფინანსური აქტივების ზრდა, გზები (ორგანიზაციული კოდი - 02 01 02– 61.1.1.5.) – **236 000** ლარით;

8. საკუთარი შემოსავლებიდან ა.(ა)ი.პ. სკოლამდელი აღზრდის ცენტრი, სუბსიდია **(ორგანიზაციული კოდი - 04 01 01– 2.5) – 350 000 ლარით;**

9. საკუთარი შემოსავლებიდან კულტურული ღონისძიებების ორგანიზება და ხელშეწყობა , საქონელი და მომსახურება **(ორგანიზაციული კოდი - 05 02 01– 2.2.10.14) – 200 000 ლარით;**

10. საკუთარი შემოსავლებიდან სპორტის სხვადასხვა სახეობების განვითარების ხელშეწყობა, სუბსიდია (ორგანიზაციული კოდი - 05 01 02– 2.5) – **40 000** ლარით;

11. საკუთარი შემოსავლებიდან სპორტული კლუბების ხელშეწყობა, სუბსიდია **(ორგანიზაციული კოდი - 05 01 03– 2.5) – 133 000 ლარით;**

12. მოქალაქეთა სამედიცინო დახმარება **(ორგანიზაციული კოდი - 06 01 02 – 2.7.)** – **50 000** ლარით;

13. გადაუდებელი და არაპროგრამული რეფერალური სამედიცინო მომსახურების თანადაფინანსება **(ორგანიზაციული კოდი - 06 01 05 – 2.7.)** – **38 000** ლარით;

14. სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებული და მძიმე საცხოვრებელ პირობებში მყოფი ოჯახების დახმარება, სხვა ხარჯები (ორგანიზაციული კოდი - 06 02 08– 2.8.2.1) – **20 000** ლარით;

- **შემცირდეს :**

15. ლეიკემიით და ონკოლოგიური დაავადების მქონე პირების დახმარება (**ორგანიზაციული კოდი - 06 01 04 – 2.7.) – 15 000 ლარით;**

16. სოციალურად დაუცველი მრავალშვილიანი ოჯახების დახმარება (ორგანიზაციული კოდი - 06 02 01 – 2.7.) – **20 000** ლარით;

17. სოციალურად შეჭირვებული ოჯახებში ახალშობილის (0-დან 1 წლამდე) მოვლისთვის საჭირო საგნებისა და საკვების შეძენისათვის ყოველთვიური დახმარება (ორგანიზაციული კოდი - 06 02 11 – 2.7.) – **25 000** ლარით;

- **შესაბამისად გაიზარდოს:**

18. მოქალაქეთა სამედიცინო დახმარება **(ორგანიზაციული კოდი - 06 01 02 – 2.7.)** – **25 000** ლარით;

19. გადაუდებელი და არაპროგრამული რეფერალური სამედიცინო მომსახურების თანადაფინანსება **(ორგანიზაციული კოდი - 06 01 05 – 2.7.)** – **35 000** ლარით;

მუხლი 2. დადგენილების დანართი ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით.

მუხლი 3. დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

დავით დარჩია

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი